თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1712628

ნომერი: AR1278392

თარიღი : 12.01.2015

გაცემის თარიღი : 03.02.2015

გაცნობის თარიღი : 04.02.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კაირო , N42 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბაკურ სულაკაური პ/ნ 01008002734
- თბილისი ს.ზალდასტანიშვილის შეს. N 2

ორგანიზაცია:

- შპს ბგპ კოდი: 406102587

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2015 წლის 12 იანვრის #AR1278392 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.11.2014წ. #1617554 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.11.2014წ. #1617554 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, კაიროს ქუჩა N42, შპს "ბგპ"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა არსებული შენობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 28 ნოემბრიდან 2015 წლის 28 მარტის ჩათვლით.

სამსახურში დაცული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე 28.11.2014წ. #1617554 ბრძანების საფუძველზე ნაწარმოებია სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნული დასტურდება თქვენს 12.01.2015წ. #AR1278296 განცხადებაზე თანდართული ფოტოსურათებით.

შესაბამისად, თუ აღარ გსურთ 28.11.2014წ. #1617554 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის საფუძველზე მშენებლობის გაგრძელება, აღნიშნული ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება შეგიძლიათ მოითხოვოთ ახალი არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნისას ან/და შეგიძლიათ მოითხოვოთ 28.11.2014წ. #1617554 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირება.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge